პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 19 ნოემბერი, 1988 წელი № 47 (3075) ● СУББОТА, 19 НОЯБРЯ 1988 г.

## В ОБСТАНОВКЕ ПАРТИЙНОЙ ПРИНЦИПИАЛЬНОСТИ

АКТУАЛЬНЫЕ вопросы повышения авангардной роли коммунистов в перестройке стиля и методов работы органов внутренних дел были в центре внимания завершившей на днях свою работу XIX конференции партийной организации МВД ГССР. В работе конференции приняли участие секретарь ЦК КП Грузии А. Н. Глурджидзе, заведующий отделом административных органов ЦК КП Грузии В. Г. Бакрадзе, первый секретарь Кировского РК КП Грузии В. Б. Бондаренко, заместитель министра внутренних дел СССР генерал - лейтенант К. Б. Востриков, ответственные работники отдела административных органов ЦК КП Грузии Г. В. Беручашвили и Н. К. Гиоргадзе, руководящие работники системы МВД ГССР.

На конференции с отчетным докладом «О работе партийного комитета МВД ГССР» выступил секретарь партийного комитета МВД ГССР И. В. Челидзе. В прениях по докладу приняли участие начальник УУР МВД ГССР полковник Т. Н. Варданашвили, заместитель начальника отдела секретарь парторганизации УИТУ МВД ГССР капитан милиции Г. А. Ахалая, заместитель начальника оргинспекторского отдела министерства капитан милиции В. С. Геращенко, начальник УБХСС МВД ГССР полковник милиции В. К. Чантуришвили, начальник Информационного центра министерства полковник милиции А. Б. Наскидашвили, старший следователь секретарь партийной организации СУ МВД ГССР подполковник милиции Н. Г. Абуладзе, заместитель начальника ТФМВШМ МВД СССР по политической части полковник милиции Ю. Н. Забояркин, начальник ГУВДТ полковник милиции Р. С. Тушурашвили, заместители министра внутренних дел республики полковник милиции Т. В. Сидамонидзе и полковник внутренней службы Э. Л. Васильев, заместитель начальника политического отдела министерства полковник милиции Л. И. Горгодзе, начальник политического отдела МВД ГССР полковник милиции А. З. Анкваб, начальник ЭКО МВД ГССР полковник милиции Д. Г. Ростиашвили, заместитель начальника УК министерства подполковник внутренней службы А. В. Джаши и начальник УГАИ МВД ГССР полковник милиции Г. Г. Циндадзе.





Делегаты конференции работу партийного комитета МВД ГССР за отчетный период единогласно признали удовлетворительной и приняли соответствующую резолюцию.

Затем тайным голосованием делегаты конференции избрали новый состав партийного комитета министерства, в который вошли тт. Г. Г. Абесадзе, К. В. Буджиашвили, Т. Н. Варданашвили, Э. Л. Васильев, Д. В. Гахокидзе, Л. И. Горгодзе, Т. Г. Инасаридзе, Г. И. Морбедадзе, Н. Ш. Мосиашвили, А. Б. Наскидашвили, Д. Е. Сурмава, Е. Б. Теплицкий, Ц. В. Харатишвили, Р. И. Хубулия, И. В. Челидзе и Б. П. Шония. Были избраны также делегаты на XXXIII конференцию Кировской районной партийной организации г. Тбилиси.

Секретарем партийного комитета МВД ГССР избран т. И. В. Челидзе.

## აღნიშნეს პროფესიული დღესასწაული

### თბილისი

**10 ნოემბერს** თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ქვედანაყოფებში საზეიმოდ აღნიშნეს მილიციის დღე. კრწანისის ტყე-პარკში გაიხსნა დაღუპულ თანამშრომელთა მემორიალური დაფა.

1986 წელს სამმართველოს პოლიტიკური განყოფილებისა და კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით კრწანისის ტყე-პარკში ახალგაზრდა თანამშრომლებმა გააშენეს ხეივანი, სადაც ყოველ წელს, მილიციის დღეს აქ მოდიან სამმართველოს ქვედანაყოფების თანამშრომლები, რათა პატივი მიაგონ დაღუპული თანამშრომლების ხსოვნას.



სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების დაცვის დანაყოფში გაიმართა თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი. სამმართველოს სააქტო დარბაზში კი გაიხსნა სსრკ შ/ს სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებლის, მილიციის პოლკოვნიკის გ. შავგულიძის და მეოთხე კურსის მსმენელის რ. გიორგაძის ნახატების გამოფენა.

**სურათზე:** მემორიალის გახსნისას.

### СУХУМИ

ТОРЖЕСТВЕННО отметили 71-ую годовщину Великого Октября и День советской милиции сотрудники органов и подразделений внутренних дел Абхазской АССР.

Во всех ГОРОВД автономной республики были проведены торжественные собрания, организованы встречи молодых сотрудников с членами бюро горкомов. и райкомов комсомола, состоялись возложения венков к могилам сотрудников, погибших при исполнении служебных обязанностей. В преддверии праздничных дат в городе Сухуми был проведен смотр личного состава, состоялось возложение венков к памятнику В. И. Ленину.

10 ноября в центральном аппарате министерства внутренних дел автономной республики состоялось торжественное собрание, посвященное Дню советской милиции. На собрании присутствовали член бюро областного комитета партии, начальник Сухумской погранзаставы полковник А. Виноградов, инструктор обкома партии М. Курткая, секретарь Сухумского горкома Б. Тарба, председатель комитета народного контроля автономной республики К. Сичинава, военный комиссар Абхазской АССР генерал-майор Л. Абашидзе, заместитель прокурора Абхазской АССР Л. Черкезия, другие официальные лица, представители коллективов ОВД, общественности.

Торжественное собрание вступительным словом открыл председатель Сухумского горисполкома Д. Губаз. Затем перед собравшимися с докладом выступил министр внутренних дел Абхазской АССР генерал-майор М. Чулков. В заключение вечера состоялся праздничный концерт, организованный силами сотрудников ОВД и членов их семей. В концерте приняли участие члены ВИА «Апсны-67», другие популярные артисты.

### ბათუმი

**10 ნოემბერს** აჭარის ასსრ შ/ს სამინისტროს ხელმძღვანელობამ, ვეტერანებმა და ახალგაზრდა თანამშრომლებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. შემდგომ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა პოლიტგანყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ი. წულუკიძემ. საბჭოთა მილიციის დაარსების 71-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენებით გამოვიდა მინისტრი, მილიციის პოლკოვნიკი მ. ბეჟანიძე. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრი ჯ. ბაჭულიძე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. კვარაცხელია, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჯაიანი, პარტიის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული და ვა-

(დასასრული მე-2 გვ-ზე.).

## რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი კრება

**გაიმართა** სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

სხდომამ გადაწყვიტა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყრილობა მოიწვიოს 1989 წლის იანვარში.

პრეზიდიუმთან შეიქმნა მრჩეველთა საბჭო.

პრეზიდიუმმა განიხილა და დააკმაყოფილა პოეტი-აკადემიკოსის, ირაკლი აბაშიძის თხოვნა — გაათავისუფლოს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და მადლობა გადაუხადა მას გაწეული მუშაობისათვის.

პრეზიდიუმის დადგენილებით სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის არჩევა დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე მოხდება რუსთაველის საზოგადოების პირველ ყრილობაზე.

ყრილობამდე დარჩენილ პერიოდში პრეზიდიუმის საქმიანობის წარმართვა დაევალა აკაკი ბაქრაძეს, რევაზ თაბუკაშვილს, სარგის ცაიშვილს, რევაზ ამაშუკელსა და იოსებ ცისკარიშვილს.

რამდენადაც გამოცხადდა, რომ ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ამუშავებენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პროგრამებს, რომლებიც რუსთაველის საზოგადოების ყურადღების ცენტრშიც ექცევიან, პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ პროგრამათა დამუშავებაში, განხორციელებასა და კონტროლში. პრიორიტეტული პრობლემებისა და ზემოხსენებული პროგრამების ნუსხა, აგრეთვე სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა შემადგენლობა მოგვიანებით გამოცხადდება პრესაში.

პრეზიდიუმმა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების დემოგრაფიული ფონდის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია პრეზიდიუმის წევრი, პროფესორი გუჩა კვარაცხელია. ფონდის დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდება ამა წლის ნოემბრის ბოლოს.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმი მოუწოდებს რესპუბლიკის საზოგადოებას აქტიური მონაწილეობა მიიღოს რუსთაველის საზოგადოების საქმიანობაში, ყველაფერი იღონოს ეროვნული ძალების კონსტრუქციული და საქმიანი თანამშრომლობისათვის და საზოგადოების გონივრული და მაღალორგანიზებული კონსოლიდაციისათვის — გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პოლიტიკის მხარდასაჭერად.

(საქინფორმი).

## На оперативном совещании руководящего состава МВД ГССР

14 НОЯБРЯ состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел заместитель министра внутренних дел республики полковник Т. Эпиташвили.

С информацией о состоянии оперативной обстановки в республике за 10 месяцев нынешнего года на оперативном совещании выступил начальник оргинспекторского отдела министерства подполковник милиции К. Буджнашвили.

Об обеспечении общественного порядка в дни подготовки и празднования 71-й годовщины Великой Октябрьской социалистической революции и задачах Тбилисского гарнизона на ближайший период руководящих работников министерства проинформировал начальник УВД Тбилгорисполкома подполковник милиции Р. Гвенцадзе.

На оперативном совещании была также заслушана информация заместителя министра внутренних дел Грузии полковника милиции Т. Сидамонидзе о деятельности центральной комиссии МВД ГССР по обеспечению режима секретности в ОВД республики.

# აღნიშნეს პროფესიული დღესასწაული

(დასასრული).

ჭრობის განყოფილების გამგე ნ. გოლიაძე, შ/ს ყოფილი მინისტრი, გადამდგარი მილიციის გენერალ-მაიორი მ. ცინცქილაძე და სხვები.

სხდომის მსვლელობის დროს წაკითხულ იქნა აჭარის ასსრ შ/ს მინისტრის ბრძანება მოწინავე თანამშრომელთა ერთი ჯგუფის დაჯილდოვების შესახებ, კომკავშირის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგემ გ. ხაბაზმა ახალგაზრდა თანამშრომლებს გადასცა საკავშირო ალკკ სამკერდე ნიშნები „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის“.

დასასრულს გაიმართა კონცერტი სამინისტროს თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით.

## ЦХИНВАЛИ

**ДНЮ СОВЕТСКОЙ** милиции было посвящено торжественное заседание, состоявшееся 10 ноября в клубе УВД Юго-Осетии. Перед этим личный состав центрального аппарата УВД автономной области, Цхинвальского ГОВД и Цхинвальского РОВД, ОВО при УВД Юго-Осетии возложили венки к памятнику основателю нашего государства В. И. Ленину и к Вечному огню.

В день праздника в клубе



УВД Юго-Осетии собрались ветераны органов внутренних дел области, сотрудники милиции, люди, которые, приняв вахту по охране правопорядка от старших товарищей, достойно продолжают их дело, представители партийных, советских, комсомольских органов. В президиуме торжественного собрания были второй секретарь Юго-Осетинского обкома КП Грузии А. Гохелашвили, заведующий отделом административных и торгово-финансовых органов обкома С. Кобаладзе, второй секретарь Цхинвальского горкома партии Г. Мацаашвили, прокурор автономной области А. Кочиев, начальник отдела КГБ по Юго-Осетии Г. Хубашвили, ветераны ОВД автономной области.

Заседание открыл начальник УВД полковник милиции Г. Инджия. Он поздравил с праздником всех собравшихся и предоставил слово для доклада начальнику политотдела УВД майору милиции С. Липину.

В торжественной обстановке были вручены медали «Ветеран труда» капитану милиции Х. Гулиеву, майорам милиции А. Гаглоеву и В. Гаглоеву. Лучшим молодым сотрудникам были вручены Почетные грамоты обкома комсомола. Милиционеру Цхинвальского ГОВД бывшему воину - интернационалисту старшему сержанту милиции Г. Кочиеву была вручена Почетная грамота МВД СССР. Двумя неделями раньше бывший воин-интернационалист, кавалер ордена Красной Звезды был награжден медалью Республики Афганистан.

По окончании торжественного собрания состоялся концерт.

## რუსთავი

**რუსთაველი** ჩეკისტებისათვის დაუვიწყარი იქნება ეს ღირსშესანიშნავი თარიღი, რომელიც მათ საზეიმოდ აღნიშნეს.

რუსთაველი წესრიგის დამცველები ღირსეულად აგრძელებენ უფროსი თაობის დაწყებულ საქმეს; ქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ — ესაა მათი უპირველესი მოვალეობა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ შ/ს განყოფილების თანამშრომლები: ხარაზიშვილი, ქებულაძე, მაძღოვი, ლუბიანური.

უკვალოდ არ ჩაუვლია მილიციის ვეტერანთა დიდ გამოცდილებას, შექმნილია ვეტერანთა საბჭო.

დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გარკვეული წვლილი შეაქვს ქალაქის საზოგადოებრივ აქტივს, კომკავშირის საქალაქო კოლექტივთან ერთად ტარდება ღონისძიებები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

დღეისათვის დანაშაულის საგრძნობი კლებაა სისხლის სამართლის ხაზით. იკლო საერთო დანაშაულმა ყველა სამსახურის მიხედვით, შემცირდა მძიმე დანაშაულის რაოდენობა, გაიზარდა დანაშაულის გახსნის პროცენტი. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილმა დანაშაულმა მ. წ. 10 თვეში სამი ერთეულით იკლო.

ნაკლოვანებები ჯერ კიდევ ბევრი აქვთ, მაგრამ მიღწეული წარმატებები გვაფიქრებინებს, რომ რუსთაველები უკეთესად შეხვდებიან მომავალ 10 ნოემბერს.

## წყალტუბო

**ახლახან** ფართოდ აღნიშნეს თავიანთი პროფესიული დღესასწაული წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებმა.

წესრიგის გუშაგებს საბჭოთა მილიციის დაარსების 71-ე წლისთავი მიულოცა და პირად ცხოვრებაში წარმატება უსურვა განყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ზ. რობაქიძემ.

ქართველ ჩეკისტთა თვალსაჩინო წარმატებებზე, განყოფილების კოლექტივის საქმიანობასა და ამოცანებზე თავის მოხსენებაში ვრცლად ილაპარაკა მილიციის უფროსის მოადგილემ პოლიტნაწილში, მილიციის მაიორმა ნ. კვარაცხელიამ.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიეს უხილავი ფრონტის წინა ხაზზე ვაჟკაცურად დაცემული თანამოსაქმე ელგუჯა ჭეიშვილი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ „საპატიო ნიშნის“ ორდენი მიენიჭა. აქვე წუთიერი დუმილით პატივი სცეს მილიციის კაპიტნების, გამომძიებელ გიორგი კოლუაშვილისა და უბნის ინსპექტორის გურამ ჭეიშვილის ხსოვნას.

საზეიმო შეკრებაზე საზოგადოების მყუდროების სადარაჯოზე მრავალი ათეული წლის განმავლობაში თავდადებული საქმიანობისათვის წყალტუბოელ მშრომელთა სახელით მადლობა გადაუხადეს დამსახურებულ პენსიაზე გასულ მილიციის მუშაკთა ერთ ჯგუფს: ნიკოლოზ მიქაბერიძეს, მიგელი კვერნაძეს, ბორის კაკაბაძეს, შოთა ქელბაქიანს, ჯაბა ამბროლაძესა და ზაურ ქაშიბაძეს. მათ აქვე გადაეცათ „შრომის ვეტერანის“ მედლები და სამახსოვრო საჩუქრები.

**На состоявшейся недавно коллегии МВД ГССР после тщательного и всестороннего анализа, было решено отклонить ходатайство коллегии МВД Абхазской АССР о продлении срока службы ряду сотрудников органов внутренних дел автономной республики. Что же послужило причиной подобного решения? Думается, есть необходимость внести ясность в этот, волнующий многих, вопрос, о чем свидетельствуют многочисленные письма, поступающие в адрес руководства и политического отдела министерства.**

# ДУХ И БУКВА ЗАКОНА

## ЧТО СТОИТ ЗА ЭТИМИ ПОНЯТИЯМИ

**ПРЕЖДЕ** всего следует отметить особую деликатность затронутой темы. Процесс выхода на пенсию сложен и неоднозначен не только в органах внутренних дел. Это вполне понятно — ведь человеку, привыкшему к ощущению своей нужности людям, активному и напряженному ритму жизни трудно как-то сразу оказаться не у дел. В таких случаях от всех сослуживцев, особенно от работников кадрового и политического аппаратов, требуется особая чуткость для того, чтобы сделать этот процесс по возможности безболезненным.

Надо ли говорить, что нужно проявлять особое внимание к людям, отдавшим многие годы жизни честному служению любимому делу, заботиться о решении всех возникающих у них бытовых вопросов, привлекать к общественной работе, воспитанию молодежи. Прописные, казалось, истины, но, к сожалению, нередко приходится сталкиваться с фактами грубого и бестактного отношения к ветеранам. Иногда сотрудникам ОВД об увольнении на пенсию сообщается в день подписания приказа, что, естественно, травмирует их, не дает возможности и времени для психологической перестройки. Думается, подобное формально - бездушное отношение к заслуженным людям совершенно недопустимо.

Но бывает и иначе. Сотруднику, достигшему пенсионного возраста, отдельные руководители обещают продление срока службы, заведомо зная, что это вступает в противоречие с существующими правилами. Так, коллегия МВД Абхазской АССР ходатайствует о продлении срока службы заместителю начальника отдела ГАИ МВД Абхазской АССР полковнику милиции Ш. Адлейба и командиру подразделения ДПС ГАИ МВД Абхазской АССР подполковнику милиции У. Хвития. С аналогичным ходатайством к начальнику ЛОВД на ст. Сухуми подполковнику милиции Г. Акишбая обратилось руководство ГУВДТ.

Нет, наверное, необходимости напоминать ни читателям, ни руководителям этих подразделений, что все прохождение службы сотрудниками ОВД определяется соответствующими регламентирующими документами. Так, в «Положении о прохождении службы рядовым и начальствующим составом органов внутренних дел» говориться, что **лица среднего и старшего начальствующего состава, в зависимости от присвоенных им специальных званий, состоят на службе в органах внутренних дел до 50 лет, полковники милиции и внутренней службы—до 55 лет, лица высшего начсостава — до 60 лет.** Однако, в отдельных случаях, лица (до подполковников включительно), достигшие установленного званием возраста, но годные по состоянию здоровья, спецподготовке и своим деловым качествам, при необходимости, могут быть оставлены на службе.

Если вспомнить, что Ш. Адлейба исполнилось 61 год, а У. Хвития и Г. Акишбая — по 57 лет, то нетрудно заметить, что им уже был продлен срок службы. Таким образом были соблюдены и дух и буква закона. Однако дальнейшее продление им срока службы уже вступает в противоречие с установленными правилами.

Нельзя сказать, что в МВД Абхазской АССР не ведется работа с лицами пенсионного возраста. Так, в том же документе, где содержится ходатайство о продлении срока службы Ш. Адлейба, У. Хвития, указывается, что из 21 сотрудника, достигшего предельного возраста на 1 января т. г., в настоящее время на заслуженный отдых отправлено 8 человек, представлено к увольнению еще четыре.

В этом же документе самокритично отмечается, что в данной работе еще есть недостатки и упущения, в результате чего в ОВД автономной республики продолжают работать люди, которые в силу своего преклонного возраста и слабого здоровья не в состоянии выполнять возложенные на них обязанности на уровне современных требований.

Создавшийся определенный застой кадров стал тормозом в укреплении некоторых служб и подразделений молодыми, перспективными сотрудниками, вызывает серьезные затруднения в своевременном трудоустройстве специалистов, окончивших высшие и средние учебные заведения МВД СССР. Этим во многом объясняется и то, что в настоящее время в МВД автономной республики должности рядового и младшего начсостава занимают 13 человек с высшим образованием, в том числе пять юристов, многие из которых лишены возможности применения на практике полученных знаний. Кроме того, более десяти офицеров остались за штатом и пока не трудоустроены.

Такое положение дел, подчеркивается в решении коллегии МВД Абхазской АССР, главным образом объясняется тем, что отдельные руководители служб, органов и подразделений занимают иждивенческую позицию в решении кадровых вопросов, из-за боязни испортить отношения с подчиненными, нередко пренебрегают интересами службы.

Таким образом, в одном и том же документе содержится и правильная оценка создавшегося положения и одновременно ставится вопрос о продлении (неправомерном, как уже было отмечено) срока службы сотрудникам, что вступает в противоречие с элементарной логикой. Надо, по-видимому, более внимательно относиться к указаниям регламентирующих документов да и к самим людям, не вселять в них несбыточные надежды. Этого требуют как дух и буква закона, так и нормы отношений между людьми и сослуживцами.

**А. КОБАЛАДЗЕ.**

**P. S.: Нарушения, подобные приведенным выше, характерны и для ряда других крупных подразделений внутренних дел республики, в том числе и для МВД Аджарской АССР, УВД Тбилгорисполкома, УВД Юго-Осетии и ряда других. На ближайшем заседании коллегии МВД ГССР будет рассмотрен вопрос о положении работы с лицами, достигшими предельного возраста в МВД Аджарской АССР, о чем также будет сообщено на страницах нашей газеты.**



# იცნობდეთ, მოწინავე მუშაკია

**გიორგი დუდაშვილმა** სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდისთანავე მილიციელის საპატიო და საპასუხისმგებლო პროფესია აირჩია. იგი გორის შ/ს საქალაქო განყოფილებაში 1970 წლიდან მუშაობს. ამ ხნის მანძილზე თავი გამოიჩინა, როგორც გაბედულმა, პრინციპულმა და დავალებების სამაგალითოდ შემსრულებელმა მუშაკმა, აქვე მიიღეს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

დღეს მილიციის სერჟანტი გ. დუდაშვილი საპატრულო-საგუშაგო ქვედანაყოფის მეთაურის თანაშემწეა, ყოველდღიურად მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, შემთხვევითი არ არის, რომ გ. დუდაშვილი ხშირად იგზავნება ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო დავალებების შემსრულებელ ჯგუფთან ერთად. იგი კარგი დამრიგებელია, ყურადღებით ეკიდება ახალბედა მუშაკებს, არის დისციპლინისათვის აქტიური მებრძოლი მუშაკი და საზოგადოებრივი დავალებების პირნათლად შემსრულებელი, არჩეულია საპატრულო-საგუშაგო ქვედანაყოფის პარტჯგუფორგად, განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრად და ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ.

მუშაობაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის გ. დუდაშვილს 1987 წელს მიენიჭა „მილიციის ფრიადოსანის“ საპატიო წოდება.

**ნ. დალაქიშვილი,**
**გორის შ/ს საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი.**

# სახანძრო-ტექნიკურ კონფერენციაზე

**ამას** წინათ ქ. ფოთის საზღვაოსავაჭრო ნავსადგურის ინტერკლუბში ჩატარდა სახანძრო-ტექნიკური კონფერენცია.

კონფერენციაზე ნავსადგურის ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობისა და ზამთრის სეზონისათვის მზადების თაობაზე მოხსენებით გამოვიდა საზღვაო ნავსადგურის სახანძრო-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, გასამხედროებული დაცვის უფროსის მოადგილე შ. ხოჭოლავა. მომხსენებელმა გააანალიზა ნავსადგურის ობიექტებზე ამ უკანასკნელ პერიოდში გაწეული მუშაობა სახანძრო უშიშროების დარგში. მომხსენებელმა მიღწევებთან ერთად აღნიშნა ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ისეთი საკითხის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებაზე, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალურ დაბანდებასთან.

სიტყვებით გამოვიდნენ: ნავსადგურის მთავარი ინჟინრის მოვალეობის შემსრულებელი ი. შელოვიცკი, ამავე ნავსადგურის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ორგანიზაციათა თავმჯდომარეები და მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების უფროსები: ენერგეტიკოსი ა. პროცენკო, ქალაქის პროფესიონალური სახანძრო ნაწილის უფროსი ინსპექტორი, შ/ს კაპიტანი ნ. კურტანიძე, საქართველოს შავი ზღვის სანაოსნოს გასამხედროებული დაცვის უფროსი ინსტრუქტორი ი. ლოსევი და სხვ. რომლებმაც მრავალი წინადადება წამოაყენეს სავაჭრო ნავსადგურში სახანძრო უშიშროების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დასასრულს ფოთის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. მაისაიამ საუკეთესო მუშაკებს გადასცა ჯილდოები.

კონფერენციას ესწრებოდა ქ. ფოთის ტრანსპორტისა და რკინიგზის პროკურორი გ. ფაჩულია და საქართველოს შავი ზღვის სანაოსნოს გასამხედროებული დაცვის უფროსი უ. სიხარულიძე.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიება, რომელიც ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურმა ჩაატარა სახანძრო-ტექნიკური კონფერენციის სახით, დღემდე არცერთ სხვა ობიექტზე არ ჩატარებულა.

# ლიმონმა თქვა: მეც ფული ვარ...

(ფელეტონი)

**30 სექტემბერს** მილიციის რაიგანყოფილებაში გალის რ-ის ბედიის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობიდან გვაცნობეს, რომ № 12 საწარმოო ბრიგადის პლანტაციიდან წინა ღამით ლიმონის ნაყოფი მოიპარეს. მეურნეობის დირექციის მიერ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ დაადგინა მოპარული ლიმონის სავარაუდო მოცულობა. კომისიის დასკვნით, სულ მცირე 300 კილოგრამი ლიმონი იყო დატაცებული. საქმეში მილიცია ჩაერია. უბნის ინსპექტორი ვ. შონია გულდასმით შეუდგა ძიებას და... მოპარული ლიმონის ნაწილი, 80 კილოგრამი, მომდევნო დღეებში ამოიღეს სოფელ წარჩეში მცხოვრები ამერიგო ერმილეს ძე ჰკადუას ოჯახიდან...

ვაი რა სეხნია გყოლია ჩვენს რაიონში, ამერიგო ვესპუჩი! შენი შერცხვენილი სეხნია, ჩვენი თანამემამულე, ახალი კონტინენტების ძებნით არ დაშვრალა, მაგრამ საკუთარი სახელით უკვდავყოფა ხომ მაინც სცადა. ხუმრობა ხომ არაა, ამხელა კაცი ლიმონის ქურდის იარლიყით მიაბრძანონ „ვირის აბანოში?“! თუმცა, როგორც ძიებამ დაამტკიცა, ამერიგო საკუთარი ინიციატივით არ ამხედრებულა ქურდის სამარცხვინო სახელის საშოვნელად. იგი სხვამ წააქეზა, და მერე იცით, ვინ არის ეს სხვა? ამერიგოს ქვისლი, აჩიგვარის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის მე-8 ბრიგადის ტერიტორიაზე მცხოვრები ნ. ხუბუა.

ჩვენს დაფაში ოქროს მონეტასავით ჩამოანათა შეყვითლებულმა ლიმონმა და თამამად განაცხადა: მე ლიმონი კი არა ფული ვარო.

თუ ასეა რატომ ვარქმევთ მათ ლიმონის ქურდებს ამ სახელს? ფულს ხომ სხვაც ბევრი იპარავს?

ეს კი არადა, ჩიტმა ამბავი მოგვიტანა — ლიმონს და მანდარინს სხვა მეურნეობაშიც იპარავენ, მაგრამ მალავენო. ძნელი მისახვედრია რატომ?

# УСПЕШНЫЙ РЕЙД

**ЗА ПРОШЕДШИЕ** десять месяцев значительно активизировалась работа сотрудников Марнеульского РОВД. Работники ОУР райотдела за истекшие десять месяцев показали 100-процентную раскрываемость дел, а по линии ОУР преступления сократились на 14 единиц.

Это еще раз подчеркивает хорошую и оперативную работу райотдела милиции (начальник — подполковник милиции П. Сванидзе).

Только в октябре месяце нынешнего года в результате проведенных оперативных мероприятий начальник о м ОУР РОВД майором милиции О. Имнадзе, оперуполномоченными капитанами милиции А. Ганиевым и Р. Алахвердиевым на факте употребления наркотических веществ был задержан Джаманов Карим Миллат-оглы, 1966 года рождения, проживающий в селе Имири Марнеульского района, у которого было обнаружено и изъято 2,2 грамма гашиша. У него же дома обнаружены 3 грамма гашиша и боевые мелкокалиберные патроны.

А на другом факте употребления наркотиков этой же группой был задержан в селе Садахло Марнеульского района А. Горгозиани, 1955 года рождения, электрик станции переливания крови города Тбилиси, который в момент задержания в автомашине ГАЗ-24 с государственным номером Э 07-21 ГР, принадлежавшей жителю города Тбилиси Г. Гапиташвили, находился в состоянии наркотического опьянения, и у него было обнаружено и изъято 115 граммов измельченного опийного мака, относящегося к наркотикам.

По обоим фактам возбуждены уголовные дела.

**А. МАЛАЯНЦ.**

* * *

**НА СНИМКЕ:** участники рейда.



# ჩატარდა პირველი მეცადინეობა

**საქართველოს** სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტსწავლების სისტემაში დაიწყო ახალი 1988-1989 სასწავლო წელი.

ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა დუშეთის შს რაიონული განყოფილება. შესაბამისი ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პოლიტიკური სემინარისა და პოლიტიკური სკოლის ორ-ორი ჯგუფი, დაინიშნენ პროპაგანდისტები და მათი მოადგილეები.

ამ დღეებში პოლიტსწავლების სისტემაში ჩატარდა პირველი მეცადინეობები. თემა ყველა ჯგუფისათვის საერთო იყო — „სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა“.



მეცადინეობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია გახდა დიდი მოვლენა ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი ეტაპი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის მიერ განსაზღვრული პარტიის სტრატეგიული გეგმის განვითარებაში გარდაქმნის თეორიისა და პრაქტიკის გაღრმავებაში. იგი მიმდინარეობდა ისტორიული გარდატეხის მომენტში, ვითარებაში, როცა რევოლუციური გარდაქმნები მოედო საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს, მთელს ქვეყანას, კონფერენციამ მიიღო საპროგრამო ხასიათისა და მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი. ისინი მიზნად ისახავენ იმას, რომ აღმოიფხვრას დაბრკოლებანი გარდაქმნის გზაზე, გახდეს ეს პროცესი დინამიური და შეუქცევადი.

მეცადინეობები ჩატარდა ახალ შენობაში, სადაც მოეწყო ვ. ი. ლენინის ოთახი, ეს ოთახი ააშენეს თვით განყოფილების მუშაკების ძალებით. აქვე დამონტაჟდა კინოდანადგარები, სადაც ყოველკვირეულად მეცადინეობების შემდეგ ნაჩვენები იქნება შესაბამისი კინოფილმები. როგორც განყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანმა ნ. ობგაიძემ გვითხრა, პირველი მეცადინეობები პროპაგანდისტებისა და მსმენელების აქტიურობის ვითარებაში ჩატარდა.

**გ. მგალობლიშვილი,**

* * *

**სურათზე:** განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი ნ. ობგაიძე; საპასპორტო სამსახურის უფროსი, მილიციის კაპიტანი ა. ჩხუტიშვილი და სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი შ. სინჯარაძე ადგენენ მორიგი პოლიტმეცადინეობის გეგმას.

ავტორის ფოტო.

# ОБЪЕДИНИТЬ УСИЛИЯ

**ВСЕХ ЗАИНТЕРЕСОВАННЫХ СТОРОН В БОРЬБЕ С НАРКОМАНИЕЙ — ТАКОВО БЫЛО ЕДИНОДУШНОЕ РЕШЕНИЕ ВСЕХ УЧАСТНИКОВ ПРОВЕДЕННОГО НА ДНЯХ ЗАМЕСТИТЕЛЕМ МИНИСТРА ВНУТРЕННИХ ДЕЛ РЕСПУБЛИКИ ПОЛКОВНИКОМ Т. ЭПИТАШВИЛИ ОПЕРАТИВНОГО СОВЕЩАНИЯ.**

**СОВЕЩАНИЕ,** на котором присутствовали сотрудники органов и подразделений Тбилисского гарнизона, представители Минздрава, суда и прокуратуры республики, было посвящено итогам деятельности УВД Тбилгорисполкома по борьбе с распространением наркомании за 10 месяцев нынешнего года. Состоялся заинтересованный, откровенный разговор о состоянии борьбы с этим социальным злом, перспективах совершенствования работы на данном направлении.

Общий тон совещания был сугубо деловым, если не сказать тревожным. Действительно, несмотря на ведущуюся целенаправленную работу по выявлению сбытчиков, содержателей притонов для потребления наркотиков, перекрытию каналов их ввоза, положение в столице республики в этом плане осложнилось.

Выступивший на совещании начальник отдела УУР МВД ГССР майор милиции Д. Джанашия, дав принципиальный анализ причин наметившегося срыва, отметил, что сотрудники органов и подразделений Тбилисского гарнизона в последнее время ослабили накал борьбы с наркоманией. Одной из главных причин этого является находящееся не на должном уровне взаимодействие отраслевых служб.

В настоящее время основная тяжесть работы по выявлению и пресечению фактов потребления наркотиков, связанных с этим преступлений, освидетельствования и направления в ЛТП наркоманов лежит на сотрудниках уголовного розыска. Однако, недостаточно четкое взаимодействие с другими службами, например, с работниками следствия, приводит к тому, что преступники, порой, уходят от ответственности. Так, недавно сотрудниками ОУР Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси была задержана автомашина, в которой находились жители г. Львова В. Ж. и В. П., у которых было изъято 14 гр гашиша. Материалы были переданы следствию, а затем, без достаточных на то оснований, были пересланы в МВД Кабардино-Балкарской АССР. Когда ошибка выяснилась, материалы были возвращены в Тбилиси, но дело уже потеряло судебную перспективу.

Другой важной причиной ослабления борьбы с наркоманией являются серьезные недостатки в подборе кадров, неоправданная практика их хаотических перестановок и использования не по назначению. На должности сотрудников, ведущих борьбу с наркоманией, зачастую попадают некомпетентные в данной области люди, имеющие минимальный стаж оперативной работы.

Недостатки во взаимодействии и взаимном информировании служб, в первую очередь, БХСС, участковых инспекторов отмечали начальник ОУР УВД Тбилгорисполкома полковник милиции К. Каландадзе, старший оперуполномоченный ОУР УВД г. Тбилиси майор милиции А. Барамия, начальник ОУР Калининского РОВД столицы республики майор милиции М. Зарандия и другие выступившие на совещании сотрудники.

Много претензий было высказано в адрес работников здравоохранения республики. Подчеркивалось, что не всегда согласуются действия сотрудников милиции и медицинских работников. Приходится, в частности, сталкиваться с такими явлениями, когда сотрудники ОВД доставляют в наркологический диспансер лиц, заподозренных в употреблении наркотиков, но там их не принимают, мотивируя отказ тем, что нет свободных коек. В то же время, по данным Минздрава ГССР, в нынешнем году в наркологическом диспансере заполняемость коек составляет только 30 процентов. Большие трудности создает и недостаточно качественное проведение медицинских экспертиз.

Отвечая на многочисленные вопросы участников совещания, главный врач Республиканской наркологической клинической больницы З. Шенгелия отметил определенное несовершенство методики проводимых экспертиз, не учитывающей новые типы наркотических веществ, а также различные комбинации лекарственных препаратов, используемых наркоманами. З. Шенгелия указал на трудности работы медперсонала диспансера с таким специфическим контингентом, каким являются наркоманы, внес ряд конкретных предложений по улучшению сотрудничества органов внутренних дел и Минздрава республики.

Выступившие на совещании заместитель начальника УУР МВД ГССР полковник милиции Г. Ломинадзе и заместитель начальника УВД г. Тбилиси полковник милиции Г. Шаламберидзе также отметили необходимость активизации совместных усилий сотрудников милиции и медицинских работников, создания профессионального ядра сотрудников ОВД, ориентированных именно на борьбу с наркоманией.

Существующие недостатки и упущения, подчеркнул полковник милиции Г. Ломинадзе, являются прямым следствием недостаточного внимания к данной работе со стороны начальников РОВД на местах, что неизбежно сказывается на результатах дела. В то же время, проводимый сейчас в системе УВД Тбилгорисполкома эксперимент, в ходе которого освобожденные сотрудники райотделов прикомандированы к ОУР УВД и работают под его контролем, показывает, что эти сотрудники существенно улучшили свою работу.

На совещании были приняты решения улучшить взаимное информирование сотрудников милиции и здравоохранения, установить пост милиции в наркологическом диспансере, намечен ряд других мер по совершенствованию взаимодействия ОВД и Минздрава ГССР.

Подводя итоги совещания, заместитель министра внутренних дел республики полковник Т. Эпиташвили отметил, что состоявшийся принципиальный и деловой разговор был очень полезен для всех собравшихся, дал возможность выявить имеющиеся в борьбе с наркоманией недостатки, наметить конкретные меры по их скорейшему и полному искоренению.

**А. ЦАТУРОВ.**

# საქმის ერთგული



**რვა წელიწადმა** შეუმჩნევლად განვლო... ბადრი ტურაბელიძემ თსუ-ს ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის წითელ დიპლომზე დამთავრების შემდეგ, სურვილი გამოთქვა შინაგან საქმეთა ორგანოებში დაეწყო მუშაობა. სწორედ, ამ მიზნით განაწილებით მიაშურა კარელიას, სადაც ქალაქ კონდოპოგის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში არასაუწყებო დაცვის ინსპექტორად დანიშნეს.

სანიმუშო დისციპლინის, თავისთავისადმი მომთხოვნი ახალგაზრდა, ყოველთვის პირნათლად ასრულებდა ყოველგვარ დავალებას. მილიციის ლეიტენანტის საქმისადმი ერთგულება, ადამიანებისადმი პრინციპული, გულთბილი დამოკიდებულება მხედველობიდან არ გამორჩენიათ კარელიელ ჩეკისტებს და იგი ჯერ რაიგანყოფილების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, შემდეგ კი სკკპ რიგებში მიიღეს.

ოთხი წლის შემდეგ დაუბრუნდა იგი მშობლიურ კუთხეს და წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში განაგრძო მილიციის მუშაკის ხიფათით აღსავსე გზა. დღესაც ჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით საქმიანობს სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულად.

მილიციის კაპიტანი ახლახან უკვე მეორედ აირჩიეს განყოფილების კომუნისტებმა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად. იგი საუკეთესო მამა და მეუღლეა.

**ლ. თალაკვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Пропагандируя спортивные достижения

**СВИДЕТЕЛЯМИ** захватывающего и красочного зрелища стали на днях тбилисцы и гости столицы республики, собравшиеся в старом районе города — Рике. Здесь состоялись организованные сотрудниками отдела физподготовки и спорта МВД Грузинской ССР показательные выступления сборных команд ОВД республики по служебно - прикладным видам спорта.

Показательные выступления, приуроченные ко Дню советской милиции, открылись парадом участников праздничного мероприятия. Перед трибунами и зрителями прошли колонны курсантов-знаменосцев и сборных команд МВД ГССР. С особой теплотой приветствовали зрители колонны ветеранов милиции и спорта, среди которых были олимпийские чемпионы В. Санеев, А. Анпилогов и другие известные спортсмены. Минутой молчания почтили все участники праздничного мероприятия память сотрудников милиции, погибших при исполнении служебных обязанностей.

Затем перед зрителями выступили спортсмены. Члены сборной кинологов показали, как происходит дрессировка служебных собак, обнаружение ими наркотических веществ, опознание преступника. Члены сборной по пожарно-прикладному спорту продемонстрировали свое профессиональное мастерство в боевом развертывании и преодолении 100-метровой полосы препятствий.

Большой интерес зрителей вызвали показательные выступления по автомногоборью и фигурному вождению автомобилей, в котором выступили сотрудники госавтоинспекции г. Тбилиси старший лейтенант милиции В. Масурашвили и старшина милиции Т. Датадзе. Высокое спортивное мастерство членов команды Центра рукопашного боя и самообороны без оружия (тренеры — В. Гулбани и В.Ераносян) не раз удостаивалось аплодисментов многочисленных зрителей.

Украшением праздника стали выступления ВИА «Маиси», танцевального ансамбля «Накадули» (Д/К им. Ф. Э. Дзержинского) и членов клуба одной из руставских средних школ «Колесо безопасности». А завершили показательные выступления юные футболисты.

«Проведение подобных мероприятий служит прежде всего развитию массовой физкультуры и спорта среди сотрудников министерства и пропаганде их работы и достижений среди населения,— говорит старший инструктор отдела физподготовки и спорта МВД ГССР старший лейтенант внутренней службы Е. Гарсеванишвили, — мы планируем провести показательные выступления и весной будущего года, приурочив их к одной из праздничных дат. Хорошо бы сделать их традиционными».

**Л. ЛЬВОВ.**

* * *

**НА СНИМКАХ:** эпизоды показательных выступлений сборных команд МВД ГССР по служебно - прикладным видам спорта.



# ПОБЕДИЛИ СИЛЬНЕЙШИЕ

**НА ДНЯХ** в Тбилиси завершились финальные соревнования чемпионата МВД Грузинской ССР по пожарно-прикладному спорту среди профессиональных пожарных частей. 12 сильнейших команд - победительниц зональных соревнований, прошедших в городах Рустави и Кутаиси, в течение 2-х дней оспаривали награды как в личном, так и в командном зачете.

«Мы считаем, что этот вид соревнований наиболее точно проявляет все положительные стороны в физической и боевой подготовке личного состава и вскрывает имеющиеся недостатки, — говорит начальник отдела службы подготовки УПО МВД ГССР подполковник внутренней службы О. Наникашвили, — немалова жную роль в совершенствовании физической и боевой подготовки личного состава внесли и прошедшие зональные и финальные соревнования, в которых участвовали все подразделения пожарной охраны республики».

После упорной борьбы в командном зачете первое место и переходящий кубок получили пожарные ВПЧ-33 г. Батуми, на второе место вышли также представители Батумского гарнизона — пожарные ВПЧ-31, а замкнули тройку призеров представители ПВПЧ-38 г. Кутаиси.

В личных соревнованиях, где приняли участие 72 сотрудника пожарных подразделений, были показаны неплохие результаты. Так, в подъеме по штурмовой лестнице победителем стал молодой мастер спорта рядовой внутренней службы М. Цинцадзе (ВПЧ-33 г. Батуми), его время — 16,5 сек. Второе место у руставца М. Галогре (16,7 сек), а третье у представителя подразделения пожарной охраны района им. 26 комиссаров г. Тбилиси М. Микеладзе (16,9 сек).

В соревнованиях на выдвижной лестнице лучшим был батумский дуэт в составе М. Цинцадзе и А. Кахидзе — их время 16,6 сек, второе и третье места заняли соответственно тбилисцы Н. Микеладзе и С. Арутюнян (16,7 сек) и руставцы А. Оганезов и Е. Гордиенко (17,2 сек.).

В боевом развертывании победителями стали пожарные ВПЧ-44 г. Рустави, на втором месте команда ПВПЧ-38 г. Кутаиси и на третьем пожарные ВПЧ-33 г. Батуми.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

გ. სანადირაძე

# ნადირობა მგლებზე

რომანი-ქრონიკა



...**ახალგაზრდა** დაშვებული თოფით მიუახლოვდა „სტუმრებს". გაზომილი ფართო ნაბიჯი, ამაყი გამოხედვა, სუფთად გაპარსული სახე, სქელი საოცრად მბზინავი შავი თმა, ფართო ბეჭები. ეს ჩოკაა, ჩოკა მაგომა. აბუბაქარი იცნობდა მას. მაგრამ არ ჩანდა. თვით ბანდის თავკაცი — ახმად ხუჩბაროვი...

ჩოკას ზაქის კოსტუმი ეცვა. საკმაოდ გემოვნებით შეკერილი და საგულდაგულოდ დაუთავებული...

— ასეთ კოსტუმს მეც არ დავიწუნებდი, — გაიღიმა ვარლამმა.

— გადმობარგდით ჩვენთან — თვალები გაუბრწყინდა ჩოკას, ამ სიკეთეს არ მოგაკლებთ. დიდებული თერძი გვყავს.

— შორსაა, — თქვა ვარლამმა, — თანაც გზა საერთოდ არ გქონიათ. თქვენს თერძს კი ბარში უფრო მეტი დაფასება ექნება... ვხედავ წინასწარი შეთანხმების ზოგიერთი პუნქტიც ირღვევა...

— მაგალითად?

— ჩვენ უიარაღონი ვართ, თქვენ კი საგულდაგულოდ მომზადებული დაგვხვდით... მეგზურმაც ზედმეტად გამოიდო თავი... შორი და მშვიდობიანი გზა აირჩია... ასე რომ, თქვენი ეჭვი ე. წ. „კუდის" შესახებ, უსაფუძვლოა.

ჩოკამ თავი ჩაღუნა. ერთბაშად გაქრა მისი სახიდან დამცინავი ღიმილი. მას გაახსენდა აბუბაქარის ნათქვამი: „შადურთან მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით ფონს ვერ გახვალ. იგი დედამიწის გულში იხედება ...იგი თქვენი გულისთვის ამოვა აქ... ამოვა რათა მოძებნოს სწორი გზა თქვენსა და ხელისუფლებას შორის..." ეს ამ რამდენიმე დღის წინად იყო. მაშინ ახმადმა თქვა, — მოვიდეს, ვნახოთ რა კაციცაა! მაგრამ უკანასკნელ წუთს თავი აარიდა შეხვედრას...

— რატომღაც ვერ ვხედავ ახმად ხუჩბაროვს! — მოუჭრა შადურმა ჩოკას.

— ვერაფერს გეტყვით, — ჩაფიქრებით წარმოსთქვა ჩოკამ, — ისე, უკანასკნელ დროს უცნაურად იქცევა. ამას ყველანი ვამჩნევთ...

ნუთუ ეს არის ყაჩაღთა ძირითადი ბაზა?

ან რატომ მოერიდა ხუჩბაროვი შეხვედრას?

რას ნიშნავდა რამდენიმე დღის წინათ აბუბაქარისათვის მიცემული თანხმობა?

რა მოიფიქრა უკანასკნელ წუთს?

რად სჭირდება ბანდის თავკაცისათვის გულჩათხრობილის, თავისთავში ჩაკეტილი კაცის ნიღბის მორგება? — ეს კითხვები უტრიალებდა იმ წუთში ვარლამ შადურს.

...ჩოკამ სუფრასთან მიიწვია სტუმრები. იგი იქვე გაეწყოთ ერთ-ერთ ალაჩოღში. მათაც დიდი თავპატიჟი არ დაუდიათ — შიოდათ. ვარლამი მოწყენილი ჩანდა. მისი უხასიათობის მიზეზი გასაგები იყო — ახმად ხუჩბაროვმა ისევ აარიდა მათ თავი... ისევ... როცა, აბუბაქარის თქმით, ყველაფერი მაზდ იყო საბოლოო მოლაპარაკებისათვის...

სუფრა გულუხვი მასპინძლის ხელით იყო გაწყობილი.

— შესანიშნავი სუფრაა, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს — თქვა ვარლამმა.

ჩოკას სახეზე გაკვირვება გამოიხატა.

— მასპინძელთა არაგულწრფელობა! — მოჭრა ვარლამმა.

— ბატონ შადურისთვის და მისი მეგობრისთვის ჯერჯერობით არ მიგვიცია ამის საბაბი — იწყინა ჩოკამ.

— თქვენ კარგად იცით, სად არის ახლა ახმედი!

— ეს არის სულ? — ისევ გამოიწვერა მის სახეზე უტიფარი ღიმილი, ვიცით, რა თქმა უნდა, ვიცით, იგი გადაუდებელი საქმის გამო ჩავარდა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში.

— პირადად შენ რა გაკავებს ახმადთან? — იკითხა ვარლამმა.

— დიდი ხნის ძმობა! ალაჰს შევფიცე, მუდამ მის გვერდით ვიქნებოდი. დამერწმუნეთ, მე გულით მინდა მთავრობასთან შერიგება. წლები გარბიან, შეუმჩნევლად გვიახლოვდება სიბერე. აბა, როგორ არ იოცნებებ თბილ კერაზე! მაგრამ ახმადს ჯერ არაფერი გადაუწყვეტია.

...ვარლამი აბუბაქარს მიაჩერდა.

— მე მგონი აქ დარჩენას აზრი არა აქვს. ახმადი არა ჩანს. მისი „მალე" საოცრად გაჭიანურდა. თანაც ჩვენმა მასპინძლებმა ზუსტად არ იციან თავკაცის ასავალ-დასავალი. ისე რომ ჩვენ აქ არაფერი გვესაქმება.

შადურის ნათქვამს შეფარული სინანულის ჩრდილი დაჰკრავდა. აბუბაქარმა თავი ჩაღუნა. მთელი იმ დროის მანძილზე იგი ჩუმად იჯდა. ამას ყველა ამჩნევდა.

— ბატონო შადურო! — ჰქა ასწია ჩოკამ, — ჩემთვის დიდი ბედნიერებაა თქვენთან შეხვედრა. დამერწმუნეთ, ასევე ბედნიერი იქნებოდა ახმადიც...

— მჯერა თქვა ვარლამმა, — თქვენი წინადადება?

ჩოკა დაიბნა. უაზროდ მიაჩერდა ნოდარ კომახიძეს.

— ბატონ ვარლამს აინტერესებს, როდის ინებებს ახმადი ჩვენთან შეხვედრას, — დააზუსტა ნოდარმა.

— ეგ თავად ახმადმა უნდა გადაწყვიტოს...

— ჩვენ აქ მისმა სიტყვამ და გადაწყვეტილებამ ამოგვიყვანა, — ჩაურთო აბუბაქარმა.

ჩოკას არც გაუხედია მისკენ.

— თუ ნებას მომცემთ, მე მოველაპარაკები ახმადს...

ქარმა მძლავრად შეაჯანჯღარა ალაჩოღი.

ნოდარს შეშფოთება დაეტყო.

— ამ კარვიანად წაგვიღებს! თქვა მან.

— მაგის შიში ნუ გექნებათ, — გაიღიმა ჩოკამ, — აქ ყველაფერი საიმედოდ დგას.

— თუ ეგრეა, ჩვენც საიმედო სიტყვას ველით თქვენგან, — წამოდგა შადური, წამოდგა ნოდარ კომახიძეც.

— ნუ ჩქარობთ! — თქვა ჩოკამ, — დარჩით ამაღამ! აბა, სად უნდა იაროთ ამ ქარში?! თანაც წვიმას აპირებს!

შადურის გადაწყვეტილება საბოლოო გამოდგა.

— მაშ, როდის ველოდოთ თქვენს კაცს?! მიაჩერდა ჩოკას. ეს გამომშვიდობების ნიშნად მიიჩნია ჩოკამ და მაშინვე წამოდგა.

— ბატონო შადურო, გთხოვთ, ნუ გამიგებთ ცუდად, მე მხოლოდ ჩემს თავზე ვაგებ პასუხს, მაგრამ პირობას გაძლევთ — ახმადს სერიოზულად მოველაპარაკები... შეუძლებელია მას ჭკუაში არ დაუჯდეს მთავრობის ამგვარი გადაწყვეტილება. თქვენ უკეთილშობილესი მისიით გვესტუმრეთ. დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. ბევრ რამეზე ამეხილა თვალი. ბევრი რამის გადამოწმება შევძელი... ახმეტის რაიონში ცხოვრობს ერთი ჩემი ნაცნობი, მაკმახა ჰქვია, მაკმახა ტოლოშაშვილი, მისი საშუალებით გაგცემთ პასუხს, შეიძლება ჩემი წერილიც მიიღოთ, შეიძლება შერიგების თხოვნაც. წელანაც გითხარით, — მომბეზრდა ასე გარიყულად ცხოვრება.

ჩამოწვა სიჩუმე. ქარი მთელი ძალით აზათქუნებდა ალაჩოღის კალთას. ჩოკას მშვიდი სახე ჰქონდა. უცოდველის ნიღაბი მოიშველია. ალბათ, იყო მის სიტყვებში გულწრფელობის მარცვალი...

●

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 45-46.

# ახალი გაზეთი

1989 წლის იანვრიდან გამოვა „მთავრობის მაცნე" — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ორგანო. რეტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელების, მეცნიერების ლექტორებისა და პროპაგანდისტების უველა მოქალაქისათვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო და საცნობარო მასალა.

„მთავრობის მაცნე" გამოვა ორკვირაში ერთხელ. ნომრის ფასი 15 კაპ. ერთი წლის ხელმოწერის ღირებულებაა 8 მან. და 90 კაპ. ინდექსი — 50105. ორგანიზაციების დაწესებულებების, საწარმოებისა და მოქალაქეებისათვის „მთავრობის მაცნეზე" ხელმოწერა იწარმოებს 1988 წლის 1-30 ნოემბერს. გაზეთი ცალობითაც გაიყიდება.

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 00847